

საგანგაშო პროგნოზი – ღარი გაუფასურდება!

გაზეთი “News TIME & კრიმინალი” – 30 ოქტომბერი–5 ნოემბერი, № 43, 2008

რა ხდება ქართულ ეკონომიკაში? ამის გარკვევა, არც ისე ადვილია. სააკაშვილი კი არ ამბობს, მაგრამ გურგენიძე იმიტომ მოიშორა, რომ მან ბევრი დააშავა და ცოტა ხანში ალბათ ამასაც აღიარებენ. ახალ პრემიერ-მინისტრს გაცილებით მძიმე სიტუაციაში უწევს თანამდებობაზე მოსვლა. ომმა ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. როგორც ჩვენთან საუბრისას ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავამ განაცხადა, აგვისტოს დღეებში დაპანიკებულმა ხალხმა ბანკებიდან საკუთარი ანაბრების გატანა დაიწყო. ბანკებმა ამ პერიოდში 700 მილიონი ლარი დაკარგეს. ომის დასრულებიდან ერთ თვეში უკან ამ თანხის 25-30% თუ დაიბრუნეს. ამ პროცესმა ბანკები გაკოტრების საფრთხის წინაშე დააყენა. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ლადო პაპავას გავესაუბრეთ.

ლადო პაპავა: „ზოგმა თანხა უცხოურ ბანკებში გადაიტანა, ზოგმა აქ არსებულ უცხოურ ბანკებში შეიტანა, ზოგმაც, შიშის გამო, ფული უბრალოდ, მუთაქაში შეინახა. რეალურად, ბანკებს საკრედიტო რესურსი ხომ დააკლდათ. ამ დროს შევსების სხვა წყარო არ არსებობდა, ამიტომ ისინი გაკოტრების საშიშროების წინაშე დადგნენ და თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდებოდა ისინი, იძულებულნი გახდებოდნენ, ფილიალები შეემცირებინათ და თანამშრომლები დაეთხოვათ. ეს კი საკმაოდ მძიმე პროცესი იქნებოდა. მას შემდეგ, რაც ბრიუსელის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ საქართველოს უახლოესი 26 თვის მანძილზე 4,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება და კრედიტი გამოეყოფა, საბანკო კრიზისის საფრთხე პრაქტიკულად აღარ არსებობს, თანაც დიდი შანსია იმის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ფახზე იქნეს დაყენებული.“

მართალია, გამოჩნდა საფინანსო საერთაშორისო კორპორაციის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის საკრედიტო არხი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ამიტომ, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, რეფინანსირების ოპერაციები დაეწყო, ანუ კომერციული ბანკებისთვის იაფი სესხები მიეცა. მან, ბანკებისთვის სავალდებულო რეზერვების ნორმებიც შეამცირა. ამავე დროს სადეპოზიტო სერტიფიკატებზეც შეამცირა განაკვეთები. მოკლედ, ეროვნულმა

ბანკმა კომერციულ ბანკებში საკრედიტო რესურსის ზრდას შეუწყო ხელი. ეს კი ინფლაციის ზრდის ხელშეწყობას ნიშნავს.

- ასეთი პოლიტიკის გატარება გამართლებულია? რა სჯობს, ბანკების გაკოტრება თუ ინფლაციური პოლიტიკის გატარება?

- კარგი არც ერთია, ოღონდ ცუდია ინფლაციური პოლიტიკა, უარესი კი ბანკების გაკოტრება. აგისნით რატომაც, ბანკის გაკოტრება მხოლოდ ერთი ინსტიტუტის გაკოტრებას არ ნიშნავს, ნიშნავს ყველას გაკოტრებას და ჩაძირვას, ვისაც ამ ბანკში გააჩნია ანაბარი. ამის გამო, ბანკების გადარჩენას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ისმის კითხვა, რა სჯობს, ბანკი გაკოტრდეს თუ მაღალი ინფლაცია გექონდეს? ეროვნული ბანკი ამ არჩევანის წინაშე დადგა და მან მაღალი ინფლაცია არჩია. მართალია, მთავრობა ინფლაციის რეალურ ციფრს მაინც არ იტყვის და ამ ინფორმაციას შეალამაზებს. ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი, რომ 2008 წელს ინფლაცია 30%-ის ფარგლებში იქნებოდა და სავარაუდოდ, ასეც იქნება.

- ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგი მხოლოდ მაღალ ინფლაციაში გამოიხატება?

- ჩვენს ქვეყანაში არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დაამძიმა. იმპორტი დაახლოებით ოთხჯერ და მეტჯერ სჭარბობს ექსპორტს. ექსპორტიდან შემოსული ერთი აშშ დოლარის სანაცვლოდ იმპორტში 4 დოლარზე მეტს ვკარგავთ. ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინება ეროვნული ვალუტის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. აქამდე ლარი სტაბილური რომ იყო და მყარდებოდა, ამის მიზეზი უცხოური ინვესტიციების დიდი ძალით შემოდინება იყო. უცხოელები საქართველოში საწარმოებს, უძრავ ქონებას ყიდულობდნენ და ცხადია, უცხოური ვალუტა შემოჰქონდათ. მეორე წყარო იყო უცხოეთში საშოვარზე გასული ჩვენი თანამოქალაქეების ფულადი გზავნილები. ეს ორივე წყარო გლობალური ფინანსური კრიზისის გამო მცირდება.

ის უცხოური კომპანიები, რომლებიც პოტენციური ინვესტორები იყვნენ, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში თავიანთ საინვესტიციო რესურსს კარგავენ. ამას ნავთობზე ფასების ვარდნა დაემატა. ის არაბი ინვესტორები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ასე „საინტერესოდ“ იყვნენ წარმოდგენილნი, თავიანთ შემოსავლებს კარგავენ, ანუ მათი ინვესტიციებიც დაიკლებს.

ქვეყანა ლარის გაუფასურების, დევალვაციის საფრთხის წინაშე დგება, ასე რომ, ჩვენ ორი საფრთხის, მაღალი ინფლაციისა და ლარის გაუფასურების წინაშე ვდგავართ.

– თუ არსებობს ამ საფრთხეების აცილების რაიმე საშუალება?

– ლარის კატასტროფული დევალვაციის ასაცილებელი ბერკეტი ნამდვილად არსებობს. პირველი, ეს არის იმ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ეროვნულ ბანკში უკვე გადმორიცხული 250 მილიონი და კიდევ გადმოსარიცხი 500 მილიონი აშშ დოლარი. ეს თანხები ეროვნული ბანკის რეზერვში წავა და ლარის გაცვლითი პროცესის სტაბილურობის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებას ან მცოცავ რეჟიმში თანდათან გაუფასურებას უნდა მოხმარდეს.

მაღალ ინფლაციას მთავრობის ხარჯებიც ხელს უწყობს. ჩვენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადი გვყავს, რომელთა გამოსახამთრებლადაც მშენებლობები მიმდინარეობს. ეს ხომ ბიუჯეტის ხარჯებია, ამიტომ ეს სულ ინფლაციური ხარჯებია. ამ ხალხს ზამთრისთვის გაუჩერებსაც დაურიგებენ, ხომ არ გაყინავენ ზამთარში. ესეც ინფლაციური ხარჯია.

ერთიც მინდა გითხრათ, არ არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში შემთხვევა, როცა იმ სახელმწიფოში, რომელმაც ომი წააგო, კეთილდღეობა ამდლებულიყოს. უბრალოდ, ჩვენს მთავრობას გულწრფელობა არ ჰყოფნის, რომ ხალხს უთხრას, ომი წაგებულია, ასეთ პირობებში ჩვენ სირთულეები გველის, თუმცა შევეცდებით, დამანგრეველი ინფლაცია არ იყოსო.

– ომი რომც არ წაეგოთ, ამ მინისტრებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა შეუძლიათ? რა კადრებითაა დაკომპლექტებული ეკონომიკის, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროები?

– არ მინდა მათზე პერსონიფიცირებულად საუბარი, მით უფრო პრემიერ-მინისტრი იცვლება და სავარაუდოდ მთავრობის არაერთი წევრიც შეიცვლება...

– ახლა კი იმ თემაზე ვისაუბროთ, რომელიც ყველას უფრო აღელვებს. წინ როგორი ზამთარი გველის, შუქი და გაზი გვექნება?

– დაზუსტებით ვერ გეტყვით, მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ჩვენთან რატომღაც ეს სფერო სახელმწიფო საიდუმლოს რანგშია აყვანილი, ბოლო მომენტამდე არ ვიცოდით, გაზს აზერბაიჯანიდან რა ფასად ვყიდულობდით. მთავრობის მხარდაჭერით გავრცელებული ჭორების მიხედვით ეს ფასი 180 აშშ დოლარი იყო, ახლა გაირკვა, რომ თურმე ათასი კუბური მეტრი გაზის ფასი 300 დოლარი ყოფილა. და მაინც, სინამდვილეში რა ფასია, არავინ იცის, მეორე მხრივ,

ტარიფი იმატებს. იმდენად არაგამჭვირვალე სიტუაციაა, რომ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება ძალზედ რთულია. ღმერთმა ქნას, რომ ამ ზამთარს შუქი და გაზი გვექონდეს, თუმცა იმის ალბათობა, რომ ტარიფი გადასინჯული და მომატებული იქნება, საკმაოდ დიდია. ან არადა, პრეზიდენტი, ალბათ, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ დროებით ბიჯეტიდან მოხდეს დოტაცია და გადავადება, გაზაფხულზე კი ტარიფები სავარაუდოდ მოიმატებს...

– რუსები გაზს აღარ მოგვეყიდნენ, თუ ჩვენ არ გვინდა მათი გაზი?

– რუსებმა დაგვიპყრეს და გაზზე როგორ უნდა ვევაჭროთ. ეს თემა ამორალურად მიმაჩნია. თანაც ვერ წარმომიდგენია, ეს ვაჭრობა როგორ უნდა მოხდეს. რუსეთმა ევროპას გაზის საფასური უკვე 500 დოლარამდე გაუზარდა. ასე რომ, რუსული გაზი ძვირია.

– რუსეთს როგორ ვევაჭროთ ამბობთ, „თელასი“ თუ სხვა ენერგობიექტები რუსების არ არის?

– ეს მეორე და საკმაოდ მწვავე თემაა. რუსებს დღეს ამაზე რომ ვევაჭროთ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რაც შეეხება რუსული კომპანიებისთვის ჩვენი ენერგობიექტების მიყიდვას, ამაზე ყოველთვის ვამბობდი, რომ უვანია-ნოლაიდელის მთავრობის შეცდომაა, რაც გურგენიძემ განაგრძო. ჩემი აზრით, დღეს სავარაუდოდ რუსული კომპანიები ნორმალურად მოიქცევიან, ამის ალბათობა დიდია და გეტყვით, რატომ. დღეს რუსეთი ცდილობს, ისეთი იმიჯი შექმნას, საქართველოში ხელისუფლება ცუდია, ხალხი კი – კარგი: პუტინი ხომ გამოდის და ნიანგის ცრემლებით ტირის, როგორ უყვარს ქართველები. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ რუსულ კომპანიებს, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაშია, დავალება ექნებათ მიცემული, ნორმალურ რეჟიმში იმოქმედონ და რუსეთის მიმართ უფრო მეტი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოიწვიონ. რუსეთის ეს მცდელობა პრიმიტიულია. მართალია, რუსეთი ხშირად იყენებს დაყოფას, ცუდი ხელისუფლება და კარგი ხალხი, მაგრამ ნუ დაგვავიწოდებთ, რომ ომის დროს რუსეთის ავიაცია ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავდა.

მანანა სუხიშვილი